ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 10/49

2024 წლის 30 ოქტომბერი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ანგარიშის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს კომპეტენციაა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დადგენილი რიგითობის მიხედვით ანგარიშს განიხილავს საკრებულოს შესაბამისი კომისია, საკრებულოს ბიურო და საკრებულო.

წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, გარკვეული საქმიანობა აქვს ჩატარებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, სანიაღვრე მეურნეობის, გამწვანების, მუნიციპალიტეტის გამგებლობაში არსებული კომუნიკაციების შექმნის, რეაბილიტაციისა და განვითარების, შესაბამისი პროგრამების და პროექტების მომზადების, მათი განხორციელების კოორდინაციის თვალსაზრისით. ანგარიშში წარმოდგენილია ნუსხა იმ ღონისძიებებისა, რომელიც 2023-2024 წელს განხორციელდა სხვადასხვა სფეროში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამსახურის საქმიანობის ძირითად პროფილს წარმოადგენს სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროგრამების მართვა, რის წარმართვასაც უზრუნველყოფს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, მშენებლობის და მშენებლობის ზედამხედველობის განყოფილება.
ზემოხსენებულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში ცნობად იქნას მიღებული

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.
ცნობად იქნას მიღებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ანგარიში (ანგარიში თან ერთვის).

მუხლი 2.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.
განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ფოთი
215138143

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში
გაწეული მუშაობის შესახებ

2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური (შემდგომ _ სამსახური) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომ _ მერია) სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტას.

სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, მერიის დებულება და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 მაისის №5/24 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულება.

დებულების შესაბამისად სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

1. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილება;
2. მშენებლობის ზედამხედველობის განყოფილება;
3. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და კოორდინირების განყოფილება;
4. ტრანსპორტის განყოფილება.

- სულ სამსახურში ირიცხება 18 თანამშრომელი.

მშენებლობის ზედამხედველობის განყოფილება

2023 წლის ხელშეკრულებები (დასრულებული)

1. 2023 წლის 23 მარტის სახელმწიფო სესყიდვის შესახებ N76 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 230000508) საფუძველზე შპს „ინდიკოს" მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, 9 აპრილის ქ. მარჯვენა და მარცხენა შტოს რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 2 619 600 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 2 618 815,09 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 11 მარტს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

2. 2023 წლის 24 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N136 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი NAT 230013370) საფუძველზე შპს „საგზაო 333"-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, არზიანის ქუჩაზე და ახალ რაიონში მდებარე მინი-სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 137 243,83 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 137 041,01 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2023 წლის 06 ნოემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

3. 2023 წლს 27 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N139 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი NAT 230012272) თანახმად, შპს „ბემა"-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, N2 საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 271 341 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 268 664,38 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2023 წლის 20 ოქტომბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

4. 2023 წლს 27 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N141 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი NAT 230013560) საფუძველზე შპს „ფერმო ფენსი“-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, კოსტავასა და გორგასლის ქუჩაზე მდებარე მინი-სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 117 976,40 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 115 512,01 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2023 წლის 17 ნოემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

5. 2023 წლის 24 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N160 ხელშეკრულების (SMP 230000582) საფუძველზე ინდივიდუალური მეწარმე ფრიდონ ორდინიძის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა N6-ში მდებარე პირველი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შენობის დემონტაჟის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 59 982,95 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 57 421,03 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2023 წლის 17 ოქტომბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

6. 2023 წლის 05 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N192 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 230017639) საფუძველზე შპს „გზა-მშენებელი-13“-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, ლიეპაიას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 669 294,08 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 644 533,92 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2023 წლის 26 დეკემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

7. 2023 წლის 06 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N196 (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 230017633 საფუძველზე შპს ,,Georgian Build“-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, კონსტიტუციის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 4 531 199, 22 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 4 524 826,17 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 30 ივლის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

8. 2023 წლის 13 ოქტომბის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N201 ხელშეკრულების (SMP 230000582) საფუძველზე ინდივიდუალური მეწარმე ფრიდონ ორდინიძის მიერ განხროციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, ხობის ქუჩა N22-ში მდებარე (საკადასტრო კოდი 04.01.02.447) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 49 083,56 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 46 614,32 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2023 წლის 30 ნოემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

9. 2023 წლის 16 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N203 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 230018946) საფუძველზე შპს „ახალი გზა“-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, ვატაევის ქუჩის (დ. აღმაშენებლის ქუჩიდან - 9 აპრილის ხეივნამდე) სარეაბილიტაციო სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 1 092 022,87 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 1 088 762,52 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 30 აპრილს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

10. 2023 წლს 01 ნოემბრის სახელმწიფოშესყიდვის შესახებ N215 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი NAT 230020617) საფუძველზე შპს „ბემა“-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში 112-ის ოფისისა და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 154 110,23 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 147 810,03 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 24 იანვარს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

11. 2023 წლის 02 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N216 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 230020616) საფუძველზე შპს „წრედი“-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, სევასტოპოლის ქუჩა N2-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლის ლიფტის რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 44 417,56 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 43 089,44 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 16 თებერვალს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

12. 2023 წლის 22 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული N224 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ქარდა 701“-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, ცენტრალურ პარკში სოციალური სივრცის, კერძოდ: საწყობის მშენებლობის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 10 745,02 ლარს. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 9 593,66 ლარი. 2023 წლის 26 დეკემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

13. 2023 წლის 22 ნოემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული N223 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ქარდა 701“-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, ცენტრალურ პარკში სოციალური სივრცის, კერძოდ: ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 16 668,84 ლარს. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 15 592,58 ლარი. 2023 წლის 26 დეკემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.
14. 2023 წლს 04 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N232 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ბემა“-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, კოსტავას ქუჩა N22-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის ნაწილობრივი შეკეთების სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 57 442 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 56 305,40 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2023 წლის 27 დეკემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

2024 წლის ხელშეკრულებები (დასრულებული):

1. 2024 წლის 11 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N8 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 230023265) საფუძველზე შპს „პალადა“-ს მიერ განხორციელებულ იქნა სარსანიას ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაციის (I ეტაპი) სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 1 722 192, 50 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 712 260, 84 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 29 ივლის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

2. 2024 წლის 17 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N14 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 230023262) საფუძველზე შპს „პალადა“-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, ლოლუას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები, კერძოდ: ლოლუას ქუჩის (ფარნავაზ მეფის ქუჩიდან წმ. გიორგის ქუჩამდე) სარეაბილიტაციო სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 1 190 509, 16 ლარს დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 155 834,14 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 01 ივლის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

3. 2024 წლის 01 მარტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N62 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240002724) საფუძველზე შპს „ბემა“-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, დ. აღმაშენებლის ქუჩა N12-ში მდებარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შენობის ეზოში, სასაწყობე შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 31 382,61 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 30 539,50 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 10 აპრილს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

4. 2024 წლის 06 მარტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N43 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240002725) საფუძველზე შპს „გლობალ ელევატორ სერვისი"-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, თამარ მეფის ქუჩა N2-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლის ლიფტის რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 42 531,92 ლარს დღგ 18%-ის ჩათვლით. ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 42 348,56 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 21 მაის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

5. 2024 წლის 06 მარტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N44 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240002726) საფუძველზე შპს „გლობალ ელევატორ სერვისი"-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, სევასტოპოლის N6-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლის ლიფტის რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 41 799,14 ლარს დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 41 637,13 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 16 მაის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

6. 2024 წლის 06 მარტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N45 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240002727) საფუძველზე შპს „გლობალ ელევატორ სერვისი"-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, სევასტოპოლის N4-ში მდებარე მრავალბინიანი ს/სახლის ლიფტის რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 41 671,70 ლარს დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 41 513,40 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 16 მაის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

7. 2024 წლის 26 მარტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N54 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240003413) საფუძველზე შპს „TU-KA""-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, ფარნავაზ მეფის ქუჩა N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 246 654,16 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 246 247,02 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 15 ივლის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

8. 2024 წლის 01 აპრილის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N57 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240004626) საფუძველზე შპს „სარგებელი 2022"-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, მ. კოსტავას ქუჩა N10-ში, სამეგრელოს ქუჩა N34-ში და სამეგრელოს ქუჩა N36-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 131 107,83 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 130 745,17 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 13 ივნის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

9. 2024 წლის 01 აპრილის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N58 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240004630) საფუძველზე შპს „ჩიკი 2022"-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, მ.კაცაძის ქუჩა N6-ში და 9 აპრილის ხეივანი N33-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 135 042,89 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 135 042,89 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 02 ივლის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

10. 2024 წლის 03 აპრილის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N60 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240004156) საფუძველზე შპს „ქარდა 701"-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, დ. აღმაშენებლის ქუჩა N28-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 47 196,41 ლარს დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 44 822,94 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 12 ივნის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

11. 2024 წლის 05 აპრილის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N62 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240002728) საფუძველზე შპს „მშენებელი 2017“-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, მალთაყვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 370 674,87 ლარს დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 367 445,73 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 01 აგვისტოს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

12. 2024 წლის 15 აპრილის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N64 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240003439) საფუძველზე შპს „ჩიკი 2022“-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, მემედ აბაშიძის ქუჩა N14-ში, ა.დანელიას ქუჩა N72-ში, ჩხეიძის ქუჩა N6-ში და გურიის ქუჩა N177-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 285 821,58 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 283 657,15 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 29 ივლის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

13. 2024 წლის 13 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N75 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240007250) საფუძველზე შპს „გზა-მშენებელი-13“-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის და სანაპირო ზოლის შემაერთებელი ასფალტის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 247 770,50 ლარს დღგ 18%-ის ჩათვლით. ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულბამ შეადგინა 247 057,61 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 07 ივნის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

14. 2024 წლის 13 მაისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N74 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი- NAT 240007249) საფუძველზე შპს „ბემა“-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, თამარ მეფის ქუჩა N52-ში, 9 აპრილის ხეივანის N4-ში და 9 აპრილის ხეივანის N6-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 360 218,04 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 351 349,56 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 09 სექტემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

15. 2024 წლის 02 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N99 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240010805) საფუძველზე შპს „ტოტალ“-ის მიერ განხორციელებულ იქნა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების მოწყობის, კერძოდ: ქალაქ ფოთში, ბერდიანსკის N28, ვალერი გეგიძის N26, გურიის N181, დავით აღმაშენებლის N49, კონსტანტინე რეკვავას N1, მზარელუას N39, მიხეილ ლერმონტოვის N36, პოლიკარპე ზერაგიას N49, რუსთაველის რკალი N4, სამეგრელოს N9, სამეგრელოს N18 და ალექსანდრე ჭავჭავაძის N2 ქუჩების მიმდებარედ ავტობუსის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების მოწყობის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 198 705,00 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 176 963,46 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 03 ოქტომბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

16. 2024 წლის 12 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N105 ხელშეკრულების (SMP240001648) საფუძველზე შპს „ბემა“-ს მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, 9 აპრილის ხეივანი N26-ში პირველ სართულზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართის სარემონტო სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 59987,82 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 59987,82 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 06 აგვიტოს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

17. 2024 წლის 29 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N109 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240012533) საფუძველზე შპს „ჩიკი 2022“-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, 9 აპრილის ხეივანი N14-ში და არზიანის ქუჩა N9-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 122 878,56 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 119 299,57 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 09 ოქტომბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

18. 2024 წლის 06 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N110 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240013384) საფუძველზე შპს „სარგებელი 2022“-ის მიერ განხორციელებულ იქნა ქალაქ ფოთში, ელადას ქუჩა N17-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 75 494,32 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 75 494,32 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. 2024 წლის 23 სექტემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.
19. 2024 წლის 26 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N35 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 230027637) საფუძველზე შპს “გზა-მშენებელი-13“ ახორციელებს ქალაქ ფოთში, კიკალეიშვილის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოებს. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1 253 481,17 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 07 ოქტომბრის ჩათვლით. სამუშაოები დასრულებულია. შპს „ექსპერტ ჰაუსის“ (ობიექტის ტექნიკური ზედამხედველი) ინსპეტირების ანგარშის წარმოდგენის შემდგომ გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

მიმდინარე ხელშეკრულებები:

1. 2024 წლის 26 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N36 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 230027635) საფუძველზე შპს „პალადა“ ახორციელებს ქალაქ ფოთში, გიორგი ათონელის ქუჩაზე გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოებს. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 2 240 815,71 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით. მიმდინარეობს მუშაობა.

2. 2024 წლის 29 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N108 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240012536) საფუძველზე შპს „ქარდა 701“ ახორციელებს ქალაქ ფოთში, კოსტავას ქუჩა N6-ში და ჭყონდიდელის ქუჩა N18-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოებს. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 119 067,60 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 14 ოქტომბრის ჩათვლით. მიმდინარეობს მუშაობა.

3. 2024 წლის 27 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N112 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240015278) საფუძველზე შპს „ქარდა 701“ ახორციელებს ქალაქ ფოთში, 9 აპრილის ხეივანი N17-ში, მალთაყვის სანაპირო N8-ში და მალთაყვის სანაპირო N10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცის სამუშაოებს. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 129 535,78 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით. მიმდინარეობს მუშაობა.

4. 2024 წლის 03 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N118 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240015571) საფუძველზე შპს „სარგებელი 2022“ ახორციელებს ქალაქ ფოთში, ვ. გორგასლის ქუჩა N 4-ში და სამეგრელოს ქუჩა N 32-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოებს სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 93 906,54 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით. მიმდინარეობს მუშაობა.

5. 2024 წლის 11 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N123 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240016148) საფუძველზე შპს „ქარდა 701" ახორციელებს ქალაქ ფოთში, ელადას ქუჩა N21-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოებს. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 55 196 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით. მიმდინარეობს მუშაობა.

6. 2024 წლის 11 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N122 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240015280) საფუძველზე შპს "გზა-მშენებელი-13" ახორციელებს ქალაქ ფოთში, დუმბაძის ქუჩაზე გზის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოებს. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 497 565,88 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 11 ნოემბრამდე. მიმდინარეობს მუშაობა.

7. 2024 წლის 01 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N143 ხელშეკრულების საფუძველზე შპს "პალადა" ახორციელებს ქალაქ ფოთში, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, ბარბაქაძის ქუჩა N1, N2, N3, N4; ელადას ქუჩა N12, N14; გურიის ქუჩა N177, N179, N181, N183, N185, N187, N189, N191, N193; კლდიაშვილის ქუჩა N86, N88, კაცაძის N6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის, კერძოდ: ასფალტის საფარის სამუშაოებს. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 380 095 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით. მიმდინარეობს მუშაობა.

8. 2024 წლის 01 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N144 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „მშენებელი 2017" უნდა განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით, დასასვენებელი სკამების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ურნების შეძენა. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 59 630 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. მიწოდების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით.

9. 2024 წლის 02 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N145 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ენკი გრუპი 2023" უნდა განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, კლდიაშვილის ქუჩა N86-88 (საერთო ეზო), სევასტოპოლის ქუჩა N2, სამეგრელოს ქუჩა N8-10, აფხაზეთის ქუჩა N11 დასასვენებელი სივრცეების მოწყობის მიზნით, საჩრდილობლის შეძენა (თანმდევი მომსახურებით) მონტაჟით. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 59 680 ლარს, დღგ 18%-ის ჩათვლით. მიწოდების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილება:

1. 2024 წლის 19 მარტს გაფორმებული N50 ხელშეკრულებისა და გაცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად (სატენდერო განცხადების ნომერი NAT240003247; მომწოდებელი შპს „აბსოლუტ სერვისი") შესყიდულ იქნა მ.კაცაძის, პუშკინის, შევჩენკოს, მაკალათიას და ჭონქაძის ქუჩების გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ექსპერტიზით.

- 2024 წლის 19 მარტს გაფორმებული N50 ხელშეკრულებისა და გაცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად (სატენდერო განცხადების ნომერი NAT240003247) შპს „აბსოლუტ სერვისმა" უნდა განახორციელოს ქალაქ ფოთში კოსტავას ქუჩის (დადიანის მოედნიდან იპოდრომამდე, მიმდებარე ჩიხის ჩათვლით) სავალი გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზით მოწოდება.

2. 2024 წლის 01 აპრილს გაფორმებული N56 ხელშეკრულებისა და გაცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად (სატენდერო განცხადების ნომერი NAT 240004646; მომწოდებელი ი/მ ლერი ვერძაძე) შესყიდულ იქნა:

- ჭავჭავაძის ქ. N150 და კოსტავას ქ.20 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ექსპერტიზით.
- 26 მაისის ქუჩაზე მდებარე N4, გურიის ქუჩაზე მდებარე N177, N179 და ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე N39, N41 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ექსპერტიზით.
- აკაკის ქუჩა ქ.N108, დ.აღმაშენებლის ქ.N53, კრატასიუკის ქ.N5 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ექსპერტიზით.
- ჭავჭავაძის ქ.N144 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ექსპერტიზით.

2024 წლის 01 აპრილს გაფორმებული N56 ხელშეკრულებისა და გაცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად (სატენდერო განცხადების ნომერი NAT 240004646) ი/მ ლერი ვერძაძემ უნდა განახორციელოს:

- წმინდა ნინოს ქუჩა N3 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ესპერტიზით მოწოდება.
- კუნძულის სანაპიროს მინი მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზით მოწოდება.
- ქალაქ ფოთში, ფარნავაზ მეფის ქუჩა N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გუმბათის დემონტაჟისა და მის ადგილზე გადახურვის სამუშაოების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზით მოწოდება.

3. 2024 წლის 20 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N137 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240017287) საფუძველზე შპს „მშენგრუპმა“ უნდა განახორციელოს ქალაქ ფოთში, სატუმბი სადგურების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზით მოწოდება, სახელშეკრულებო ღირებულებით 23 838,36 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. მომსახურეობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით.

4. 2024 წლის 20 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N138 ხელშეკრულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240017128) საფუძველზე შპს „მშენგრუპმა“ უნდა განახორციელოს ქალაქ ფოთში, სანიაღვრე წყლების და მაგისტრალური მიწისსამოსიანი არხების გაწმენდის/აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზით მოწოდება. სახელშეკრულებო ღირებულებით 38 141,14 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. მომსახურეობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით.

5. 2024 წლის 11 ოქტომბრის N148 ხელშკერულების (სატენდერო განცხადების ნომერი - NAT 240017637) საფუძველზე შპს „კავკას როუდმა“ უნდა განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2024-2025 წლებში განსახორციელებელი, ქალაქის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (რომელიც მოიცავს საავტომობილო გზის სამოსის, ტროტუარის, სანიაღვრე ქსელის (კიუვეტი), ხიდების, ხიდბოგირების, გარე განათების რეაბილიტაცია/მოწყობას, ორმულების შეკეთებას) საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზით მოწოდება. სახელშეკრულებო ღირებულებით 160 000 ლარი, დღგ 18%-ის ჩათვლით. მომსახურების ვადა განისაზღვრა 2025 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი:

1. ქალაქ ფოთში, ელადას ქუჩა N8ა-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე.

2. ქალაქ ფოთში, ჭავჭავაძის ქ. N138, ჭყონდიდელის ქ. N18, დ.აღმაშენებლის ქ. N8, ერკლე მეორის ქ. N30 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, 9 აპრილის ხეივანი N25 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ მინი-სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე.

4. ქალაქ ფოთში, გოგოლიშვილისა და საეკლესიოს ქუჩების გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე.

5. ქალაქ ფოთში, ერეკლე მეორეს, პეტრე იბერის, მზარელუას და ვეკუას ქუჩების გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე.

6. მერიის ადმინისტრაციული შენობის კაპ. შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე.

7. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, ნიკოლაძის სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე.

8. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, ა. დანელიას ქუჩის სავალი გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე.

9. ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე, მდებარე სააღმზრდელო დაწესებულებების ეზოში (6 ერთეული) საბავშვო ატრაქციონების მოწყობისათვის საფუძვლის მოწობის რკ/ბეტონის ფილით შესყიდვაზე.

10. 2024-2025 წლების განმავლობაში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევაზე, ასევე, 2024-2025 წლებში დაწყებული მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება სამუშაოების დასრულებამდე.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და კოორდინირების განყოფილება.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და კოორდინირების განყოფილების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების შემუშავება, მონაწილეობა, რეკომენდაციები და მათი განხორციელება, ასევე, ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობა და ზედამხედველობა.

განყოფილების მიერ მომზადდა მთელი რიგი ინფრასტურქტურული პროგრამები, მონაწილეობდა ტრენინგებში, ვებინარებში და სხვა თემატურ საკითხებზე, კერძოდ: კლიმატის ცვლილება, წყლის რესურსების დაცვა, სააუზო მართვა, ნარჩენების მართვა, შუალედური გადამტვირთავი სადგურის მშენებლობა, ნარჩენების მართვის ელექტრონული საინფორმაციო სისტემაზე გადასვლა და სხვა.

1. მივიღეთ მონაწილეობა ევროპის მწვანე შეთანხმებისა და მდგრადი განვითარების პროგრამის განხილვაში შემდეგ თემებზე:
- პლასტიკის ნარჩენების მართვა და საინვესტიციო პრიორიტეტების განსაზღვრა.
- პლასტიკით დაბინძურების დიაგნოსტიკა და ტექნიკური დახმარება.
2. მივიღეთ მონაწილეობა შპს ,,მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" მიერ, ინტეგრირებული მართვის პროგრამა II, რომლის ფარგლებშიც მოხდება:
- 2024 წლის ბოლოს დაიწყება ახალი შუალედური გადამტვირთავი სადგურის მშენებლობა, რომელიც სავარაუდოდ დასრულდება 2025 წელს, სადაც 24 საათის განმავლობაში შპს ,,მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის" მიერ სპეც. ტრანსპორტით მოხდება ნარჩენების გატანა რეგიონულ ნაგავსაყრელზე ქალაქ ზუგდიდთან, რისთვისაც, ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრთან" ერთად მიმდინარეობს მყარი ნარჩენების ინტეგრირებულ პროგრამა ,,მართვის საინფორმაციო სისტემის" განხორციელება, რომლის ფარგლებში, შპს ,,მყარი ნარჩენების მართვის კომპანია"-სა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრს" გადაეცა ნარჩენების შესაგროვებელი აღჭურვილობის - სპეც.ტექნიკის და ინვენტარი.
3. მივიღეთ მონაწილეობა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ მომზადებული ინფორმაციის განხილვაში თემაზე:
- საქართველოში 2023 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2024 წლისათვის.
4. მივიღეთ მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ შემუშავებული კლიმატის ცვლილების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კანონის განხილვაში.
- ,,თეთრი წიგნი" საჯარო კონსულტაციებისათვის.
- ,,მწვანე წიგნი" კლიმატის ცვლილების კანონისათვის.

ასევე განხილულ იქნა წყლის რესურსების მართვის საკითხი:
- სააუზო მართვის დაგეგმარება.
5. მომზადდა სატუმბი სადგურების რეაბილიტაციის სამუშაოების და სანიაღვრე წყლებისა და მაგისტრალური მიწისსამოსიანი არხების გაწმენდისა და აღდგენის სამუშაოების შესყიდვის ტექნიკური დავალება და გამოცხადდა ტენდერი აღნიშნული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ექსპერტიზით შესყიდვაზე.

სამსახურთან ანგარიშვალდებული ა(ა)იპ-ებია ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი", ა(ა)იპ ,,სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი", ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის ცენტრალური პარკი", ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია", რომლებიც საკრებულოს წინაშე თავიანთი საქმიანობის წლიურ ანგარიშებს დამოუკიდებლად წარადგენენ, ამიტომ სამსახურის ანგარიშში მათ საქმიანობის განხილვას არ განვახორციელებ. ამ ორგანიზაციებთან მიმართებაში შემიძლია ამჯერად კიდევ ერთხელ დავაფიქსირო მათი ტექნიკური საშუალებებით (სპეც. ტექნიკით) აღჭურვის აუცილებლობა, რაც აუცილებელი პირობაა მათი სრულფასოვანი და შედეგიანი საქმიანობისთვის.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და კოორდინირების განყოფილების თანამშრომლები, ახორციელებენ ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" მიერ შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის კონტროლს და ტექნიკურ ზედამხედველობას შემდეგ ობიექტებზე:

ნუგზარი ალანია (მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და კოორდინირების განყოფილების უფროსი)	- ქალაქის ქუჩების გარე განათების მოვლა-პატრონობა; - სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა; - გარე განათების და სატუმბი სადგურების ელ. ენერგიის ხარჯები; - ქალაქის ქუჩების მოვლა-პატრონობა; - მინი სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა.
ემზარი კუპრაძე (მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და კოორდინირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი)	- ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება; - საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; - დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება (ამოღება); - გამწვანების სამუშაოები, სკვერების მოვლა-პატრონობა.
თემური ოდიშარია (მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და კოორდინირების განყოფილების უფროსი სპეციალისტი)	- უმეთვალყურეოდ დარჩენილი პირუტყვის იზოლაცია (ძროხები, მაწანწალა ძაღლები); - საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობა; - სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა.

განყოფილება ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მუნიციპალური ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობის განხორციელებას და ზედამხედველობას, კერძოდ:

1. 2022 წლის 25 ნოემბრის **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** N190 ხელშეკრულების თანახმად (სატენდერო განცხადების ნომერი NAT220020350), შესყიდულ იქნა ვიდეო-კამერების შეძენა-მონტაჟის სამუშაოები (თანმდევი მომსახურებით), თანხით 649 000 (ექვსასორმოცდაცხრაათასი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით, (მიმწოდებელი შპს ,,დელტა კონსალტინგი"), ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 25 მარტის ჩათვლით.
   ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, 2024 წლის 07 მარტს გაფორმდა საბოლოო მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი.

2. 2023 წლის 19 აპრილის **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** N90 ხელშეკრულების თანახმად (სატენდერო განცხადების ნომერი NAT230007385), შესყიდულ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 20 ერთეული ჩართვის წერტილიდან ვიდეო-ნაკადის (Stream) ტრანსპორტირების უზრუნველყოფა შსს 112 (ქ. თბილისი) მონაცემთა დამუშავების ცენტრამდე მომსახურება, თანხით 37 170 (ოცდაჩვიდმეტიათასასსამოცდაათი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით, (მიმწოდებელი შპს ,,დელტა კონსალტინგი"). ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2024 წლის 25 მარტის ჩათვლით.
   მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების, დაგეგმვისა და კოორდინირების განყოფილება ახორციელებს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების კონტროლს და ტექნიკურ ზედამხედველობას.
   ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, 2024 წლის 12 მარტს გაფორმდა საბოლოო მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი.

3. 2023 წლის 29 დეკემბრის **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N276** ხელშეკრულების თანახმად (სატენდერო განცხადების ნომერი NAT230026234), შესყიდულ იქნა 6 (ექვსი) ერთეული საქართველოს სახელმწიფო დროშა, ზომით 6X9 და 7 (შვიდი) ერთეული საქართველოს სახელმწიფო დროშა, ზომით 8X12, თანხით 8775,66 (რვაათას შვიდასსამოცდათხუთმეტი ლარი და 66 თეთრი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით (მიმწოდებელი შპს ,,უსტა").

4. 2024 წლის 01 მარტის **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** N39 ხელშეკრულების თანახმად (სატენდერო განცხადების ნომერი NAT240003245), განხორციელდა საგზაო ნიშნების შეძენა-მონტაჟი, თანმდევი მომსახურებით, თანხით 50 082,15 (ორმოცდაათიათასოთხმოცდაორი ლარი და 15 თეთრი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით (მიმწოდებელი შპს ,,არ სი ქონსთრაქშენ"). ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2024 წლის 25 მაისის ჩათვლით.
ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, 2024 წლის 18 აპრილს გაფორმდა შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი (შპს ,,არ სი ქონსთრაქშენ"-მა მოაწყო ქალაქის ტერიტორიაზე 265 ერთეული სხვადასხვა საგზაო ნიშანი).

5. 2024 წლის 09 სექტემბრის **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N121** ხელშეკრულების თანახმად (სატენდერო განცხადების ნომერი NAT240016346), შესყიდულ იქნა 5 (ხუთი) ერთეული საქართველოს სახელმწიფო დროშა, ზომით 6X9 და 5 (ხუთი) ერთეული საქართველოს სახელმწიფო დროშა, ზომით 8X12, თანხით 6962,00 (ექვსიათასცხრაასსამოცდაორი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით (მიმწოდებელი შპს ,,ბოსმეტალ").

6. 2024 წლის 28 ივნისის **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** N94 ხელშეკრულების თანახმად (სატენდერო განცხადების ნომერი NAT240009539), შესყიდულ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ვიდეოსათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობის, კერძოდ: ტექნიკური შეკეთებისა და უწყვეტი კვების სისტემის მომსახურების შესყიდვა პრეისკურანტით, თანხით 615 448,00 (ექვსასთხუთმეტიათას ოთხასორმოცდარვა) ლარი, დღგ-ს ჩათვლით, (მიმწოდებელი შპს ,,დელტა კონსალტინგი"). ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2026 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, 2024 წლის 23 აგვისტოს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. შპს ,,დელტა კონსალტინგმა" შეასრულა 13 ერთეული სახელმწიფო ნომრის ამომცნობი და 27 ერთეული ზოგადი ხედვის კამერის კაპ. რემონტის სამუშაოები.
ყოველთვიურად ფორმდება ვიდეოსათვალთვალო კამერების, კერძოდ: უწყვეტი კვების სისტემის მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი.

7. 2023 წლის 29 აგვისტოს **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** N161 ხელშეკრულების თანახმად (კონსოლიდირებული ტენდერი CON230000275), შესყიდულ იქნა **ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ვიდეოსათვალთვალო კამერების (სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი და ზოგადი ხედვის) მოვლა-პატრონობის** მომსახურება, თანხით 134 906,40 (ასოცდათოთხმეტიათას ცხრაასექვსი ლარი და 40 თეთრი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით, (მიმწოდებელი შპს ,,დელტა კონსალტინგი"). ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2026 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, 2024 წლის 26 ივნისის N№03.4224178001 ბრძანების თანახმად შექმნილი ,,**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ვიდეოსათვალთვალო კამერების (სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი და ზოგადი ხედვის) მოვლა-პატრონობის** მომსახურების თაობაზე, ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" 2023 წლის 29 აგვისტოს N161 ხელშეკრულების ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ" სამუშაო ჯგუფის მიერ ხორციელდება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების კონტროლი (ჯგუფის ხელმძღვანელი კახაბერ მაშავა, წევრები ნუგზარ ალანია, რევაზი ციცქარავა).

8. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 ივლისის N13/26 დადგენილების ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც იხილავს ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ხეების მოჭრა-ფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამუშაო ჯგუფის 21 სხდომა, შემოვიდა 51 განცხადება/წერილი - ხეების მოჭრა/ფორმირების თაობაზე.

- 3 მოქალაქეს მიეცა ხის მოჭრა/ფორმირების (ტოტების შეჭრა) ნებართვა.
- 22 მოქალაქეს ეთქვა უარი.
- 26 განცხადება გადაეგზავნა ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრს".

ტრანსპორტის განყოფილება (მიკროავტობუსები, ავტობუსები)

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 ივლისის N17/23 დადგენილებით, ქალაქ ფოთის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაწესებულია რეგულარული სამგზავრო გადაყვანის 22 მარშრუტი (M2 კატეგორია), ხოლო საქალაქო ავტობუსებისთვის (M3 კატეგორია) 10 მარშრუტი.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2021 წლის 13 აპრილის N5/10 დადგენილების „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად, ყოველწლიურად ცხადდება კონკურსი რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მოსაპოვებლად. გამარჯვებულზე ნებართვა გაიცემა ერთი წლის ვადით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 19 ივნისის N42.422417122 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში (კონკურსი გამოცხადდა N10 მარშრუტზე) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანია" (ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა M3 კატეგორია) 1 ერთეული ავტობუსი, რომლებზეც გაიცა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა 1 წლის ვადით (მერის ბრძანება N42.422421111, 29.07.2024 წ.).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 30 ივლისის N42.42242123 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა 21 ინდ/მეწარმე (ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა M2 კატეგორია) და შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანია" (ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა M3 კატეგორია) 9 ერთეული ავტობუსი, რომლებზეც გაიცა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა 1 წლის ვადით (მერის ბრძანება N42.42242534, 09.09.2024 წ.).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 16 ოქტომბრის N42.42242902 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა კონკურსში (ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა M2 კატეგორია). საკონკურსო განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის მიღება იწყება 2024 წლის 17 ოქტომბერს და სრულდება 05 ნოემბერს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 06 ნოემბრის N42.422331012 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში, (კონკურსი გამოცხადდა N8 მარშრუტზე) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანია" (ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა M3 კატეგორია) 2 ერთეული ავტობუსი, რომლებზეც გაიცა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა 1 წლის ვადით (მერის ბრძანება N42.42233415, 07.12.2023 წ.).

მგზავრთა გადაყვანის ნებართვის მოსაკრებელი თითო მიკროავტობუსისთვის შეადგენს 25 ლარს თვეში, ხოლო საქალაქო ავტობუსებისთვის 5 ლარს თვეში. თანხა ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.
მიკროავტობუსების 100% კერძო საკუთრებაა. მიკროავტობუსით მგზავრობის საფასური შეადგენს 1 (ერთი) ლარს, ხოლო №5 სვლაგეზზე (წრიული) მოძრავი მიკროავტობუსის მგზავრობის ღირებულება 80 თეთრს.
საქალაქო ავტობუსებით მომსახურების ღირებულება შეადგენს 50 თეთრს.
საქალაქო ავტობუსების სუბსიდირება შეადგენს 1 400 000 (ერთი მილიონი) ლარს.
M3 კატეგორიის ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, 50% შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობენ ქალაქ ფოთში რეგისტრირებული (მცხოვრები) შემდეგი კატეგორიის მოქალაქეები: მეორე მსოფლიოს ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, მკვეთრად გამოხატული შეძღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.
მგზავრობის გადასახადისაგან სრულად თავისუფლდება ქალაქ ფოთში რეგისტრირებული (მცხოვრები) შემდეგი კატეგორიის მოქალაქეები: 0-6 წლამდე ბავშვები; სკოლის მოსწავლეები (24 საათში 2-ჯერ), ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრის" ბენეფიციარები, მედდები და ექიმები, ა(ა)იპ კოალიცია ,,სოციალური რეფორმებისათვის" დღის ცენტრის თანამშრომლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები და გადაადგილებისას მათთან ერთად მყოფი დამხმარე ნებისმიერი პირი.

რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის საფასური ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. მოსაკრებლის თანხის გადახდა ხორციელდება არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, ნებართვის დამრღვევი დაჯარიმდება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 03 სექტემბრის N42.42212461 ბრძანების საფუძველზე, ტრანსპორტის განყოფილების უფროსი იაგორ რომანაშვილი ახორციელებს შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდირებასთან" დაკავშირებით, ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ტექნიკურ ზედამხედველობას.

მიმდინარეობს ყოველდღიური კონტროლი შიდასაქალაქო ტრანსპორტის (ავტობუსები, მიკროავტობუსები) სანებართვო პირობების შესრულების მიზნით (მარშრუტი, გეგმა-გრაფიკი, გაჩერების ინტერვალი და სხვა). ასევე ხორციელდება კონტროლი, ქალაქ ფოთში, რკინიგზის სადგურიდან გამოსული მგზავრების მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების მიზნით, აღნიშნული რეისები სრულდება ყოველდღიურად 23:20 სთ-დან (ერთი გზა), ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით (ცენტრი, მალთაყვა, ნაბადა).

ქალაქში არსებული შიდასაქალაქო ავტობუსების რაოდენობა არასაკმარისია, სასურველია გაიზარდოს ავტობუსების არსებული რაოდენობა, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სრულფასოვან მომსახურებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში, საჯარო სკოლ(ებ)ის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მომსახურების მიზნით, ყოველწლიურად ცხადდება კონსოლიდირებული ტენდერი ქალაქ ფოთში, სსიპ ქალაქ ფოთის N4 და აფხაზეთის N21 საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვაზე.

2023 წლის 13 იანვრის **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** N14 ხელშეკრულების თანახმად (კონსოლიდირებული ტენდერი CON220000665), შესყიდულ იქნა ქალაქ ფოთში, სსიპ ქალაქ ფოთის N4 და აფხაზეთის N21 საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება, თანხით 61781,76 (სამოცდაერთიათას შვიდასოთხმოცდაერთი ლარი და 76 თეთრი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით, (მიმწოდებელი ინდივიდუალური მეწარმე ,,ზაზა ვადაქარია"), მომსახურების ვადა გათვალისწინებული იყო 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 24 იანვრის №42.422302413 ბრძანებების ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში საჯარო სკოლ(ებ)ის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მომსახურების თაობაზე ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" 2023 წლის 13 იანვრის N14 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობების შესახებ" თანახმად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ ხორციელდებოდა, სსიპ ქალაქ ფოთის N4 და აფხაზეთის N21 საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შემოწმება (ინსპექტირება).

2024 წლის 04 იანვრის **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ** N3 ხელშეკრულების თანახმად (კონსოლიდირებული ტენდერი CON230000402), შესყიდულ იქნა ქალაქ ფოთში, სსიპ ქალაქ ფოთის N4 და აფხაზეთის N21 საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება, თანხით 38 848,98 (ოცდათვრამეტიათას რვაასორმოცდარვა ლარი და 98 თეთრი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით, (მიმწოდებელი ინდივიდუალური მეწარმე ,,ნანა ჭითანავა"), მომსახურების ვადა გათვალისწინებულის 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2024 წლის 11 იანვრის №42.42240119 ბრძანებების ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში საჯარო სკოლ(ებ)ის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მომსახურების თაობაზე ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" 2024 წლის 04 იანვრის N3 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობების შესახებ" თანახმად შექმნილია ინსპექტირების ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი - ტრანსპორტის განყოფილების უფროსი იაგორ რომანაშვილი, ინსპექტირების ჯგუფის წევრები: ამავე განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლელა გოგელიძე, მალთაყვის და კუნძულის უბნის წარმომადგენლები, აფხაზეთის N21 საჯარო სკოლის და რესურსცენტრის წარმომადგენელი).

ინსპექტირების ჯგუფის წევრები ახორციელებენ ქალაქ ფოთში, სსიპ ქალაქ ფოთის N4 და აფხაზეთის N21 საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შემოწმებას (ინსპექტირება), ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ,,საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამა განხორციელდა სრულყოფილად, სავალდებულო და დამატებითი კრიტერიუმების დაცვით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ტაბელის და ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

განყოფილების უფროსი იაგორ რომანაშვილი, 2023 წელს მივლინებით იმყოფებოდა მოლდოვის რესპუბლიკაში, ქალაქ კიშინიოვში, მერების შეთანხმება აღმოსავლეთის პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც მიზნად ისახავს სამოქმედო გეგმების მომზადებისა და ამ გეგმის წარმატებული განხორციელების მოლდოვური მაგალითების გაცნობას.

მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი პარკირების რეგულირების და კონტროლის განხორციელების, ასევე მძიმეწონიანი სატვირთო ავტომანქანების სპეციალური მარშრუტებისა და პარკირების ადგილების დაწესებასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების სამუშაო ჯგუფში, მონაწილეობას ღებულობს იაგორ რომანაშვილი და ლელა გოგელიძე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურ ფოთი * 215138143

გიორგი ჩიქობავა